დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(შპს მწვანე კოლა-საბურთალო)

(ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის/ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ხათუნა ლოდია
წევრ(ებ)ი:
ციალა გაგნიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	მწვანე სკოლა - საბურთალო
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405632356

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქ.N 37
საფოსტო ინდექსი	0183
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://www.gschool.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	saburtalo@greenschool.org.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	591 42 44 42

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N1449965 (11.11.2024)
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	21.11.2024

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქ.N 37
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქ.N 37
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის ქ.N 37

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

შპს - "მწვანე სკოლა - საბურთალო", ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 22 ნოემბერს. სკოლაში ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
1200	935

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ: N3.4.1.1. *N3.4.1.3 და N 3.5.1.4* ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

N3.5.1.1 ინდიკატორი, შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი".

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

შპს მწვანე სკოლა საბურთალოზე მდებარეობს ქ. თბილისში, ბესარიონ ჟღენტის ქ. N37-ში. საჯარო რეესტრის 23.08.2023 წლის ამონაწერით მის საკუთრებაში რეგისტრირებულია 10658 კვ.მიწა, შენობა N1, შენობა N2 და სხვა შენობა (საქვაბე) ჯამში 5967.87 კვ.მ და ასევე ვიზუალური დათვალიერებითა და საპროექტო ნახაზებით ახალი შენობა, რომლის ფართიც არის 1786.6 კვ.მ. აღნიშნული შენობა-ნაგებობები, სრულად უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობას და შესაბამისია სკოლის ფუნქციონირებისთვის მათ შორის ახალადაშენებული 1786.6 კვ.მ. შენობა. შენობა N1, შენობა N2, სხვა შენობა (5607.27 კვ.მ) რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო ახლადაშენებული შენობა (1786.6 კვ.მ), რომელშიც სკოლა გეგმავს მხოლოდ პირველი კლასების განთავსებას, ვიზიტის დროს, **არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.** თუმცა, შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც ე.წ ახალი შენობა (1786.6) რეგისტრირებულია მშენებარე სტატუსით.

სკოლის ორივე კამპუსი მდებარეობს ერთ სივრცეში, აღჭურვილია 10 გარე და 28 შიდა კამერით. სკოლაში, ჯამში არის 61 საკლასო ოთახი.

სკოლაში არის 48 კომპიუტერი/ნოუთბუქი, წიგნადი ფონდი. სკოლის ორივე შენობას აქვს საერთო დახურული სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, გარე მოედნები, ჩოგბურთის დახურული მოედანი, სპორტული მოედანი. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა

სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, სახტუნაო ტომრები, ლეიბები, ჰულა-ჰუპები, კეგლები, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, შესაბამისი ინვენტარით. კერძოდ- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები, ხოლო ქიმია-ბიოლოგიის ნაწილში კი შესაბამისი საგნობრივი დისციპლინის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ამსახველი თვალსაჩინოებები. ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიაში ქცევის წესები.

სკოლაში დასაქმებულია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის III სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (31.12.2024), უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენა.*
N3.4.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (9.10.2025), კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს*

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დამტკიცება.
N 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (10.12.2025), უზრუნველყოს სკოლის ახლადაშენებულ კორპუსში, შენობაში შესასვლელი პანდუსის მოწყობა.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* *<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>*

წინა ვიზიტის ფარგლებში, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მე - 3 სტანართის მე-4 და მე - 6 კომპონენტთან მიმართებაში:

ინდიკატორი 3.4.1.1:

სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (31.12.2023 -მდე) მოიპოვოს:

- დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ - **სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა N1 და N2 მდგრადობის თაობაზე.**
- დასკვნა შენობანაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - **სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება შესაბამისი მომსახურების გაწევის შესახებ და შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

ინდიკატორი 3.4.1.2 - სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (31.12.2023 -მდე) მოახდინოს: უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება - **სკოლაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების შესაბამისად, შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებირვი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმების მიზნით წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.**

ინდიკატორი 3.6.2.2 - სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ პერიოდამდე (15.10.2023) სკოლის მართვაში გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა - **სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას.**

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა საერთო კრებას, სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ პერსონალს, ტექნიკურ პერსონალს, აუზის პერსონალსა და პედაგოგიურ პერსონალს. პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრებისა და მოსწავლეთა თვითმართველობის ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით. დასაქმებულ პირთა ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის დებულებით და შრომითი ხელშეკრულებებით.

პარტნიორთა კრების ფუნქციები განისაზღვრება სკოლის წესდებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ დებულების სახით წარმოადგინა თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დებულება*

- *კათედრის დებულება*
- *პედაგოიური საბჭოს დებულება*
- *მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება*
- *კათდრის სხომის ოქმები*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები*
- *შრომითი ხელშეკურებები*
- *სკოლის სტრუქტურა*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლაში დასაქმებული პერსონალის მართვის მიმართულებები და მექანიზმები; გაზარდოს სკოლის

კონკურენტუნარიანობა; ხელი შეუწყოს სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას, კარიერულ ზრდას; შექმნას გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში. ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება კომპეტენტური და სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; მხარდამჭერი გარემოს შექმნის გზით; თანამშრომელთა საჭიროების კვლევით და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; ისეთი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით, დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა და შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება. პროფესიული საჭიროების კვლევისა და კვლევის შედეგებზე მხარდამჭერი რეაიგირების პრაქტიკა დაადასტურეს გასაუბრების პროცესში სკოლის პედაგოგებმა. სკოლამ წარმოადგინა კითხვარები და კითხვარების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები; შესაბამისი ინტერვენციის დამადასტურებელი მასალა - ინფორმაცია სკოლის თანამშრომლებისთვის საჭიროების შესაბამისად ტრენინგების უზრუნველყოფის თაობაზე. საჭიროების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით. გათვალისწინებულია, პერსონალის ინტერვენციული მართვა - თანამშრომლის დროებით სკოლაში არ ყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობების გადანაწილება ხდება შიდა კადრზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისთვის, სკოლა უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. სკოლას შემუშვებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ პერსონალის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

ვიზიტის დროს, შემოწმდა სკოლის პერსონალის პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ კანომდებლობით განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. ასევე ცნობა ნასამართლობის შესახებ მასწავლებლების შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დებულებით განსაზღრულია სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დებულებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები. უზრუნველყოფილია მმართველობით და ძირითად პროცესებში საზოგადოების ჩართულობა. სტრატეგიული დაგეგმვისა და პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი). კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშვების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესის მე-20 მუხლის თანახმად, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული

სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

1.1. დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება;

1.2. სიგელის გადაცემა;

1.3. ფასიანი საჩუქრის გადაცემა;

1.4. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

წარმატებული გამოცდილების აღიარება გათვალისწინებულია ადამიანური რესუსების მართვის პოლიტიკით. სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებლია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია და ა.შ. წარმატების აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციისა და ერთიანობის განცდისთვის.

სკოლაში დამტკიცებულია კათედრის დებულება, რომლის თანახმად, კათედრის ფუნქციაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა*
- *შინაგანაწესი*
- *კითხვარები*
- *გამოკითხვის შედეგების ანალიზი*

- *კათედრის დებულება*
- *გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები*
- *კონკურსის ჩატარების წესი და კონკურსის ოქმები*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებასა და გაუმჯობესებას. აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე;
- გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა;
- მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარული შეფასება.

სკოლამ წარმოადგინა კითხვარები და კითხვარების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები; შედეგებზე რეაგირების დამადასტურებელი მასალა - ინფორმაცია, სკოლის თანამშრომლებისთვის საჭიროების შესაბამისად ტრენინგების უზრუნველყოფის თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარი და ამ კითხვარების საშუალებით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები. რაც ადასტურებს, რომ სკოლა რეალურად იკვლევს პერსონალის საჭიროებებს და შესაბამისად გეგმავს აქტივობებს განვითარების მიმართულებით. სკოლაში დანერგილი პრაქტიკაა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რაც მიზნად ისახავს მასწავლებლების შემთხვევაში პროფესიული საჭიროებების დადგენას. ასევე შემუშავებულია პედაგოგების განვითარების ერთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, სწავლების ეფექტურობის გაზრდას, მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას და პედაგოგების და მოსწავლეების

ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე ზრუნვას. პროფესიული საჭიროების კვლევისა და კვლევის შედეგებზე მხარდამჭერი რეაიგირების პრაქტიკა დაადასტურეს გასაუბრების პროცესში სკოლის პედაგოგებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ადამიანურო რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სკოლაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას, კარიერულ ზრდას; დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

სკოლაში დასაქმებულია მასწავლებლის განვითარებისა და მხარდაჭერის სპეციალისტი, რომელიც საფეხურის ხელმძღვანელებთან ერთად, ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას - მისი პოტენციალის ნიჭის იდენტიფიცირებას და შემდგომ რეალიზებაში ხელშეწყობას. უზრუნველყოფს:

- მასწავლებლებისათვის ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და შესაბამისი სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენებისათვის ტრენინგების ორგანიზებას;
- მწვანე სკოლის ფილიალებს შორის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით თანამშრომლობის ორგანიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, გათვალისწინებულია თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები. კერძოდ, ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება; პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა და განმარტება; თანამშრომლის ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების შესახებ; თანამშრომლისათვის სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა; სკოლის თანამშრომლებისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა; თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში. განსაზღვრულია ადაპტაციის პროცესში სკოლის თანამშრომლეთა ფუნქციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოოფილია მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა საქმიანობას არაფორმალური განათლების მიმართულებით. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივებისადმი სკოლის მხარდაჭრა, დააასტურეს სკოლის პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *კითხვარის ანალიზი;*
- *პედაგოგთა განვითარების ერთწლიანი გეგმა;*
- *ხარისხის მართვის მექანიზმები*
- *გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა*
- *პედაგოგების განვითარების ერთწლიანი გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია ხარისხის მართვის მექანიზმები, რომლის თანახმად, სკოლა ხარისხის უზურნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორცილების პროცესების შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და

სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. სკოლაში დანერგილია მიმდინარე პროცესების ორი ტიპის შეფასება. შიდა შეფასება ეყრდნობა პრინციპს - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითრე.

გარე შეფასება გულისხმობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიურ ან არაგეგმიურ მონიტორინგს. ასევე 9 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით სტადარტით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მმართველობითი, ძირითადი და დამხამრე პროცესების აღწერილი და იდენტიფიცირებული აქვს ხარისხის მართვის მექანიზმების დოკუმენტში. მართველობითი პროცესები უკავშირდება დაგეგმვას და კონტროლს. ძირითადი პროცესებად სკოლაში განისაზღრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასკოლო კურიკულუმის განხორციელება, სასკოლო პროცესის ორგანიზება, მართვა და ა. შ. სკოლაში დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას, სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. დამხმარე პროცესებად ითვლება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საქმისწარმოება, მატერიალური რესურსების მართვა, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა. შ.

შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში დამტკიცებულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. ყველა კლასს ჰყავს ტუტორი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი*
- *საჩივრის განხილვის წესი*
- *ტუტორის დებულება*
- *ხარისხის მართვის მექანიზმები*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
- *პერსონალის სამუშაო გეგმები*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომლის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაცია უნდა იყოს ადვილად აღქმადი და ყველასთვის გასაგები. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებული უნდა იყოს ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ. გარდა ვებ-გვერდის და სოციალური ქსელისა, სკოლა იყენებს მოკლეტექსტურ შეტყობინენებს, სატელეფონო ზარებს, ელექტრონულ ჟურნალს, სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს (მაგ. ღია კარის დღე, მშობელთა კრებები და ა.შ); სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს.

საზოგადობასთან ურთიერთობის წესის თანახმად, დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის, ოფიციალური სოციალური ქსელიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები, მათი სანდოობის ხარისხის გათვალსწინებით, უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დაწესებულების საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიღებული უკუკავშირი არ არის კონსტრუქციული, შეიცავს უსაფუძვლო კრიტიკას და დამცინავ/შეურაცხმყოფელ რეპლიკებს, სკოლის ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იყოს აკადემიური.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლის მშობლებთან კომუნიკაცია ხდება მშობელთა კრებებზე, zoom - ის ან სხვა პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში. ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით, მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.

მშობლებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლაში რეალურად მოქმედებს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები. მოსწავლეთა თვითმმართველობა, გაერთიანებული არიან საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები. ყოველ კლასს ჰყავს ტუტორი, რომლის მოვალეობაა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის განახორციელოს ეფექტური კომუნიკაცია, შექმნას კეთილგანწყობილი, პარტნიორული ატმოსფერო;

სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს გააცნოს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაცია. შესაბამისად ურუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. დირექტორის ბრძანებით, სკოლაში, კვების ობიექტის მონიტორინგის მიზნით, შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემოდგანელობაშიც შედის სკოლის ექიმი, ადმინისტრაციის წამომადგენელი, მასწავლებელი, მოსწავლეების და მშობლები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პედაგოგიური საბჭოს დებულება;*
- *ტუტორების დებულება;*
- *კათედრის მუშაობის დებულება;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*
- *კვების ობიექტის საქმიანობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება.*

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასწავლო პროცესის დროს, როგორც სკოლაში, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშვებულია და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც 2024 წლის 23 ოქტომბრის N3241260 წერილით, შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან. სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მომსახურების გაწევის შესახებ და შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **სკოლას არ წარმოუდგენია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოდგენას.

შესრულების ვადა - 31.12.2024

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვიალია კანონმდებლობით გათვალისიწნებული მოთხოვნების შესაბამისად. დასაქმებულია ორი ექიმი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის დებულების და შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ექიმი დაუყოვნებელ რეაგირებს მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (ტრავმა, დაზიანება, დამწვრობა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა, ასფიქსია, კრუნჩხვა, შოკი, ცნობიერების მოშლა, ცხელება და სხვა მსგავსი მდგომარეობა); აფასებს მდგომარეობის სიმძიმეს და იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ. სკოლაში დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების შესაბამისად, შემუშავებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებირვი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმების მიზნით წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

სკოლის დირექციის განცხადებით, სკოლას აღნიშნული დოკუმენტი სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენილი ჰქონდა 2023 წელსაც. თუმცა, საჭირო გახდა მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განახლებული დოკუმენტის თავიდან წარდგენა.

დირექტორის ბრძნებით, განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები, თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე განსაზღვრული პირი. დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგს. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლა.

სკოლას ხელშეკრულების საფუძველზე, მომსახურებას უწევს შპს “ალგანი” (დაცვის კომპანია)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, კანომდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებირვი წესრიგის დაცვის წესის და პირობების დამტკიცებას.

შესრულების ვადა - 9.10.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, რომელიც აკვირდება მოსწავლეთა ფსიქიკური განვითარების პროცესს თითოეულ ასაკობრივ საფეხურზე, რისთვისაც ახორციელებს შესაბამის მუშაობას მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებსა თუ სკოლის ადმინისტრაციასთან; აქტიურ მონაწილეობას იღებს და ეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესში წარმოქმნილი/გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაში; იკვლევს მოსწავლის აკადემიური ჩამორჩენისა და სოციალური ქცევის ფსიქოლოგიურ მიზეზებს და უწევს მას შესაბამის ფსიქოლოგიურ დახმარებას კომპეტენციის ფარგლებში; შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრისა და აღმოფხვრისათვის; საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება ადმინისტრაციას კონფლიქტური სიტუაციების რეგულირებაში; იკვლევს მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომლის თანახმად, სკოლა ვალდებულია გამოავლინოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა, უფლებამოსილია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გაანალიზოს შემთხვევა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პოლიციის და სააგენტოს ინფორმირება. სკოლაში განსაზღრულია ბავშვთა მიმართვიანობის პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი; შემუშვებული და დამტკიცებულია მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი, რომლის თანახმად, მოსწავლეთა შორის კონფლიქტის გამოვლენის დროს, მედიაოტორის როლს ასრულებს დირექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით. მედიატორმა უნდა შეძლოს კონფლიქტების ეფექტური მართვა, მოსწავლეებისთვის კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავლის ჩვენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია სამი ძირითადი მიმართულება, რომელზეც ორიენტირებულია სკოლა:

ა) წყლის უსაფრთხოება;

ბ) სანიტარული და ჰიგიენური უსაფრთხოება;

გ) დასუფთავება და ნარჩენების მართვა;

სკოლაში დასაქმებულია ორი დამლაგებელი,

ექიმი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. ტექნიკური მენეჯერი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ხელმძღვანელობს დამხმარე ტექნიკური პერსონალის გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში, ხელშეკრულების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით მუშაობს შპს "ბიესეი სეიფთი". სკოლას შემუშვებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც გასაზღვრულია პერსონალურ

მონაცემთა დამუშავების მიზნები, საფუძვლები, მონაცემთა მიღების წყაროები. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად.

სკოლა ინახავს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნის მისაღწევად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით, გათვალისწინებულია მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა. მონაცემთა უსაფრთხოებას, მათ დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისგან გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან სკოლა უზრუნველყოფს სათანადო ზომების მირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა ახორციელებს სკოლაში არსებული გარემოს მონიტორინგს. წარმოდგენილი მასალებიდან (კითხვარები, გამოკითხვის შედეგების ანალიზი) ჩანს, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საშუალებით, იკვლევს არსებულ მდგომარეობას, ცდილობს გამოკვეთოს საჭიროებები და იმოქმედოს შესაბასად).

ამგვარად, სკოლა ახდენს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია*
- *მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კონუნიკაციის სტრატეგია)*
- *მოსწავლეთა შორის მედიაციის მარეგულირებელი წესი*
- *პერსონალუ მონაცმეთა დაცვის პოლიტიკა*

- *შპს "ბიესეი სეიფთი" - სთან გაფორმებული ხელშეკრულება*
- *კითხვარი*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5.მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს მწვანე სკოლა საბურთალოზე მდებარეობს ქ. თბილისში, ბესარიონ ჟღენტის ქ. N37-ში. საჯარო რეესტრის 23.08.2023 წლის ამონაწერით მის საკუთრებაში რეგისტრირებულია 10658 კვ.მიწა, შენობა N1, შენობა N2 და სხვა შენობა (საქვაბე) ჯამში 5967.87 კვ.მ და ასევე ვიზუალური დათვალიერებითა და საპროექტო ნახაზებით ახალი შენობა, რომლის ფართიც არის 1786.6 კვ.მ. აღნიშნული შენობა-ნაგებობები, სრულად უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობას და შესაბამისია სკოლის ფუნქციონირებისთვის მათ შორის ახალადაშენებული 1786.6 კვ.მ. შენობა. შენობა N1, შენობა N2, სხვა შენობა (5607.27 კვ.მ) რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო ახლადაშენებული შენობა (1786.6 კვ.მ), რომელშიც სკოლა გეგმავს მხოლოდ პირველი კლასების განთავსებას, ვიზიტის დროს, **არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.**

სკოლის ორივე კამპუსი მდებარეობს ერთ სივრცეში, აღჭურვილია 10 გარე და შიდა კამერით, მათ შორის ახლადაშენებული შენობა უზრუნველყოფს კამერებით უსაფრთოების დაცვას. სკოლაში, ჯამში არის 61 საკლასო ოთახი.მათ შორის: 21 ახლადაშენებულშენობაშია.

ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხით - ჯამში სკოლას აქვს 1572 ცალი მერხი, მათ შორის სკოლის პირველად ავტორიზაციისთვის 1200 მერხი, ხოლო დანარჩენი კი 372 ახლადაშენებული შენობისთვის შეძენილი; ინდივიდუალური სასკოლო და ჭკვიანი დაფებით. სკოლის ორივე შენობას აქვს საერთო სარგებლობაში: 48 კომპიუტერი/ნოუთბუქი, წიგნადი ფონდი, საერთო დახურული სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, გარე მოედნები, ჩოგბურთის დახურული მოედანი, სპორტული მოედანი. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა სპორტული ინვენტარი: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, სახტუნაო ტომრები, ლეიბები, ჰულაჰუპები, კეგლები, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, შესაბამისი ინვენტარით. კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია ფიზიკის საექსპერიმენტო ხელსაწყოები, ხოლო ქიმია-ბიოლოგიის ნაწილში კი შესაბამისი საგნობრივი დისციპლინის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ამსახველი თვალსაჩინოებები. ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიაში ქცევის წესები.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება (განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელშიც ე.წ ახალი შენობა (1786.6) რეგისტრირებულია მშენებარე სტატუსით) ***რომელიც ადასტურებს რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.***

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. შპს მწვანე სკოლის მიერ წარმოდგენილია ,,მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი“, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი იმ საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები, რაც სკოლაში ვიზუალური დაათვალიერა ექსპერტთა ჯგუფმა. წესში გაწერილია ლაბორატორიების, სპორტული ინფრასტუქტურა ბიბლიოთეკის, სხვადასხვა რესურს-ოთახებით სარგებლობის წესები შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს ასევე დამატებითი საერთო სარგებლობის, მაგალითად დერეფნებში დასასვენებელი, არაფორმალური გარემო შექმნილი, რომელიც სასკოლო საზოგადოებას აძლევს მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესაძლებლობას;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდეგნილი ბიბლიოთეკის დებულება პასუხობს იმ აუცილებელ წესებს, რომელიც უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის გამართულად მუშაობას. დებულებით გაწერილია: ბიბლიოთეკით მოსარგებლე პირების, საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის, მისი დაცულობის, სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები. სკოლის მიერ წარმოდგენილი ააიპ ასოციაცია მეცნიერთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ,,Openbiblio” -თი ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნადი ფონდით, როგორც ქართულენოვანი, რამდენი არაქართულენოვანი, ბიბლიოთეკაში გამოკრული ქცევის წესები კი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სივრცისთ სარგებლობას, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც ჩანს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება ინკლუზიური გარემოს შექმნას. ვიზუალური დათვალიერებით სკოლას აქვს ახლადაშენებული შენობის შემოსასვლელში პანდუსის მოსაწყობი სივრცე, მაგრამ არ აქვს დასრულებული პანდუსის ასასვლელის გაკეთება.
სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები, ასევე სკოლის ახლადაშენებული შენობა აღჭურვილია ლიფტით, ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის ძველ და ახალ კორპუსებს აქვთ საზიარო რესურსოთახი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობა კი შეუძლია ნებისმიერ სკოლის მოსწავლეს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს ახლადაშენებული შენობის შესასვლელში პანდუსის მოსაწყობას.

შესრულების ვადა - 10.12.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სკოლის ინფრასტუქტურა იძლევა სკოლის სიციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას. კეთილმოწყობილი გარემო, ბევრი თავისუფალი სივრცე, ლაბორატორიები, კომპიუტერული აღჭურვილობა, კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები სასკოლო საზოგადოებას აძლევს განვითარების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ერთიან, ჯანსაღ სასკოლო გარემოს ჰქმნის, რასაც სკოლის მისიაშიც ვხვდებით.

ინდიკატორი დამაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ლაბორატორიები*
- *ბიბლიოთეკის დებულება*
- *მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;*
- *შესყიდვების დოკუმენტაცია;*
- *ბიბლოთეკარის ხელშეკრულება;*
- *,,OPENBIBLIO”-ხელშეკრულება;*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. სკოლის შენობებს აქვთ საერთო სარგებლობის სივრცეები,მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით, ჭკვიანი დაფებით, კომპიუტერულ ლაბორატორიაში კი ყველა კომპიუტერი მუშაობს გამართულად, უზრუნველყოფილია ინტერნეტით, სკოლას ჰყავს აიტი მენეჯერი, რომელიც ტექნიკურ დახმარებას უწევს სკოლის თანამშრომლებს საჭიროებისამებრ. აღნიშნული კი სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს აძლევს სასწავლო პროცესისას და ადმინისტრაციული საქმიანობის გამართულად განხორციელების შესაძლებლობას. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,მატერიალური რესურსით“ სარგებლობის წესში გაწერილია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და სკოლაში მომუშავე პირებისთვის.
სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება გაკვეთილები. ჭკვიანი დაფების ხელმისწვდომობა ყველა საკლასო ოთახში კი ჰქმნის კომფორტულ გარემოს, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;*
- *შესყიდვის დოკუმენტაცია;*
- *ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;*
- *აიტის ხელშეკრულება.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საქმიწარმოების წესში გაწერილია საქმისწარმოების დეტალური ნაბიჯები, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას. წესში გაწერილი: პროცედურები დოკუმენტბრუნვის სახეები, მათი ორგანიზების, სარეგისტრაციო წარმოებების სახეების შესახებ მოცემული ინფორმაცია შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობასთან. სკოლას ჰყავს ადმინისტრაციული მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია საქმისწარმოების პროცესებზე სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მას აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც უზრუნველყიფს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას, იგი არის ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალება სკოლას, მასწავლებელსა და მშობელს შორის. ასევე სკოლამ წარმოადგინა შპს ,,უნივერსთან"დადებული ხელშეკრულება, სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში ელექტრონული დოკუმენტბრუნვას. ვიზუალურად დათვალიერების დროს აღნიშნული პლატფორმები მუშაობდა გამართულად და უზრუნველყოფს სკოლის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი, რომელიც სრულყოფილია, სკოლას აქვს სრულყოფილად წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, მაგალითად, ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი;*
- *ელ.ჟურნალის პლატფორმები;*
- *მომსახურების ხელშეკრულება ,,უნივერსთან".*

3.6.3.სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი

მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, (Greenschool.ge), (საბურთალოს კამპუსი) სოციალური ქსელი და ამ პლატფორმაზე სხვადასხვა ჯგუფები, რომლის საშუალებითაც ხდება სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიმოცვლა სასკოლო საზოგადოების წევრებთან. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარია.სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა არხებს, სკოლის მიერ წარმოდგენილ სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი (კომუნიკაციის სტრატეგიები);

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: www.greenchool.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში წარიმართება ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი;*
- *გამოკითხვები;*

- *მშობლებთან ურთიერთობის წესი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან სრულყოფილად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. სკოლის ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, წახალისებისათვის, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძენი რესურსებისათვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. მთლიან შ.პ.ს ,,მწვანე სკოლას“ აქვს ფინანსური სამსახური, ხოლო ადგილზე წარმოდგენილია ერთი თანამშრომელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ბიუჯეტი;*
- *მშობელთან დადებული ხელშეკრულება;*
- *ფინანსური ანგარიშგება;*
- *სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 23.12.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: